სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/55

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულის - „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს" სახელწოდების ცვლილებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ" და „ნ" ქვეპუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის №01-05-04/172 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეეცვალოს დასახელება ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს „ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს" და ეწოდოს „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი";
2. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის" დებულება;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**